



ფონდი კრისტალი  
CRYSTAL FUND

## საკუთრების უფლებები და ბიზნესის თავისუფლება

# განცხადება

თბილისი, 2 აპრილი 2014 წელი

საქართველოში საკონსტიტუციო, სამართლებრივი რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველთან ბატონ ტომას ჰამარბერგთან ბიზნესის, სამართლის სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ, ფონდი „კრისტალი“ ავრცელებს განცხადებას:

- უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ წესებზე დაფუძნებული და ზომიერად რეგულირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში.
- ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების ნდობა ვერ მიიღწევა ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი დაპირებებისა და საინფორმაციო კამპანიების საფუძველზე.
- ნდობის აღდგენა დამოკიდებულია ხელისუფლების უნარზე სამართლიანად გადაწყვიტოს საკუთრების უფლებების სფეროში არსებული პრობლემური საკითხები.
- სამართლის უზენაესობა და ეფექტური, გამჭვირვალე, ანგრიშვალდებული ინსტიტუტების მშენებლობა უნდა იყოს ხელისუფლებისა და საზოგადოების პრიორიტეტი.
- სამოქალაქო დაპირისპირებისა და ძალადობის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანობის განცდის დამკვიდრებით.
- ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა მასიური ხასიათის დარღვევის მომავალში პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ წარსულში დაშვებული შეცდომებისა თუ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და მათზე ადეკვატური რეაგირების გზით.

ამის გათვალისწინებით, შესაბამის მხარეებს მოვუწოდებთ შემდეგი მოქმედებებისკენ:

### აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას

- გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესის უფრო ეფექტური მართვა, რაც მოიცავს გონივრულ ვადაში მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორებას, დამნაშავეთა დასჯას, დაზარალებულთა რეაბილიტაციასა და, შესაძლებლობის ფარგლებში, საკუთრების უფლებების აღდგენას;

## Property Rights and Business Freedoms

# STATEMENT

Tbilisi, 2 April 2014

Following the meeting of business community, legal professionals and civil society representatives with Mr. Thomas Hammarberg, EU Special Adviser on Constitutional and Legal Reform and Human Rights in Georgia, Crystal Fund makes the following statement:

- Reduction in unemployment and poverty as well as inclusive economic growth can be achieved in the conditions of a rules-based and moderately regulated market economy.
- Confidence of local and foreign investors towards Georgia cannot be reached on the basis of personal undertakings and information campaigns by official representatives.
- Building of trust depends on the ability of authorities to resolve, in a fair and transparent manner, the cases of continuous violation of property rights.
- It should be a priority of authorities and the wide public to establish the rule of law and build effective, transparent and accountable institutions.
- Civil confrontation and violence is avoidable by instilling the environment of justice and fairness.
- To prevent possible future human rights violations, on a massive scale, it is of utmost importance to investigate and adequately deal with the past mistakes or wrongdoings.

In light of the above mentioned, we appeal to the corresponding parties for the following actions:

### To the Executive and Legislative branches

- Effective management of a transitional justice process, which includes, within the reasonable timeframe addressing the miscarriages of justice, punishment of offenders, rehabilitation of victims as well as, whenever feasible, restitution of

- მართლმსაჯულების სისტემის, სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების ინტენსიური რეფორმირება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება;
- საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება სამართალდამცავ, მაკონტროლებელ ორგანოებსა და პროკურატურაზე, განსაკუთრებით კი როცა აღნიშნული ორგანოების საქმიანობა ეხება ბიზნესის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებებს;
- სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრდა ან ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტის საქართველოს პარლამენტზე დაქვემდებარება;

- property;
- Intensive reform of law-enforcement and controlling agencies and approximation to the EU standards;
- Bolster the parliamentary oversight of law-enforcement, controlling agencies and prosecutor's office, especially when it comes to the issues of property rights and business freedoms;
- Increase the competencies of the Public Defender or bring the institution of Business Ombudsman into the parliamentary domain.

**ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოებას**

- ერთობლივი და კოორდინირებული ძალისხმევით, სამართლის უზენაესობის დამკვიდრების მოთხოვნით გრძელვადიანი, გამჭვირვალე, ეფექტური აპოლიტიკური კამპანიის წარმოება;
- ყველა ზომისა და სექტორის ბიზნესის წარმომადგენელთა გაერთიანება, რომლებიც შესაძლოა უშუალოდ არ დაზარალებულან, მაგრამ კარგად აცნობიერებენ არსებული მდგომარეობისა და სისტემის შენარჩუნების საფრთხეს;
- ბიზნეს-საზოგადოებამ აწარმოოს ღია დიალოგი ხელისუფლებასთან, რათა მოხდეს სამართლებრივი პრობლემების არა ინდივიდუალურ რეჟიმში, არამედ საზოგადოდ გადაწყვეტა;

**To businesses and civil society**

- In a joint and coordinated manner, to carry out the long-term, transparent, effective and apolitical campaign aimed at strengthening the rule of law;
- Consolidation of business representatives of all sizes and sectors, who might not have been affected by violation of property rights, but who clearly realize threats posed by current situation and the preservation of the existing system;
- Business community should engage in an open dialogue with authorities with objective to find a general solution to their specific problems, rather than contemplating individual fixes;

**საერთაშორისო თანამეგობრობას**

- ყველა შესაძლო მექანიზმით წახალისოს და დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიზაციისა და მმართველობის რეფორმის პროცესში;
- მხარი დაუჭიროს ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით საგამომებო კომისიის საქმიანობას, რომელიც შეეხება ბიზნესში ჩარევისა და საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევებს;
- დააზუსტოს გზავნილები, რომელიც ეხება მთავრობის პოლიტიკის მომავალზე ორიენტაციის აუცილებლობას; ხაზი გაუსვას პოლიტიკური ანგარიშსწორების მიუღებლობას, მაგრამ ამავე დროს მკაფიოდ დააფიქსიროს წარსულში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ობიექტური გამოძიების აუცილებლობა;
- კრიტიკულად შეაფასოს სასამართლო ხელისუფლების ამჟამინდელი მდგომარეობა და მიიღოს მხედველობაში ფართო საზოგადოების ნდობის ხარისხი მის მიმართ; მოუწოდოს სასამართლო ხელისუფლებას საზოგადოების წინაშე მეტი ანგარიშვალდებულებისკენ.

**To the international community**

- By all possible mechanisms, to encourage and support Georgian authorities in their democratization and reform agenda;
- Support the inquiry, led by reputable international experts, into the cases of violation of the property rights and business freedoms;
- Clarify messages on the need for a forward-looking orientation of the Government's policy; emphasize that political retribution is not acceptable, while stressing the need for unbiased investigation of the past human rights abuses;
- Critically assess the current state of judicial branch taking into consideration the level of public confidence in the system of Georgian courts; appeal to the judiciary for a greater public accountability.